ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3318413

ნომერი: AR1510799

თარიღი : 02.06.2017

გაცემის თარიღი : 13.06.2017

გაცნობის თარიღი : 14.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მელიქიშვილი , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარ ხატიაშვილი პ/ნ 01025014502
- შარტავას ქ. 45 ბ.84

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1510799 ელექტრონული განაცხადი, ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. #10-ში (ს/კ #01.15.02.006.012) მშენებლობასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობიებთ, რომ 2015 წლის 15 დეკემბრის #2341943 ბრძანებით ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. #10-ში (ს/კ

#01.15.02.006.012) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის.

2016 წლის 20 ოქტომბრის #2900888 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.12.2015 წ. #2341943 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ მშენებლობის სახეობად დაფიქსირდა: ახალი მშენებლობა.

2016 წლის 26 დეკემბრის #3017608 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.12.2015 წ. #2341943 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ძველი საკადასტრო გეგმა შეიცვალა ახალი საკადასტრო გეგმით საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი №882016651614).

2017 წლის 06 იანვრის #3026884 ბრძანებით ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), მელიქიშვილის ქ. N10-ში, ს.ს. "m2 უძრავი ქონება"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.15.02.006.012) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის მიხედვით გათვალისწინებულია არსებული შენობის დემონტაჟი. აღნიშნული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე წარმოდგენილი იყო ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე განლაგებული 3-4 სართულიანი ობიექტის (2/4 და 1/3) და რამდენიმე დამხმარე ნაგებობის (3/1, 4/1, 6/1, 5/1) დემონტაჟის მშენებლობის ორგანიზაციის დემონტაჟის პროექტი.

2017 წლის 28 თებერვლის #3120300 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 იანვრის #3026884 ბრძანებაში და #2341943 ბრძანებით დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გამოცემის თარიღად დაფიქსირდა 2015 წლის 15 დეკემბერი. ასევე მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 08 იანვრიდან 2019 წლის 08 მაისის ჩათვლით.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. #10-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2017 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.